



**დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა**

სს „საქსაშენმეცნიერებას“

სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საქსაშენმეცნიერებას“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლი საანგარიშგების, საკუთარი აპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ იაზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „საქსაშენმეცნიერებას“ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ სს „საქსაშენმეცნიერებას“-გან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

ჩვენ დავადგინეთ, რომ არ არსებობს „აუდიტის ძირითადი საკითხი“, რომლის შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილმმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად დამოკიდებულია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს„საქსაშენმეცნიერებას“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან სს„საქსაშენმეცნიერებას“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესისზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ები სშესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას დაპროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს„საქსაშენმეცნიერებას“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სს„საქსაშენმეცნიერებას“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს„საქსაშენმეცნიერებას“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მიხედვით სს„საქსაშენმეცნიერება“ ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება შემდეგი ნაწილებით: საქმიანობის მიმოხილვა და კორპორაციული მართვის ანგარიშგება.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ: გავეცნოთ ზემოაღნიშნულმმართველობის ანგარიშგებას; შევამოწმოთ ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია; და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს საქმიანობის მიმოხილვა და კორპორაციული მართვის ანგარიშგებაში წარსადგენი:

ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა; და

ბ) სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში წარსადგენი მონაცემები.

ჩვენი ვალდებულებაა ასევე, განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მიგუთითებს მათი არსი.

პირობითი მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხის გავლენის გარდა სს„საქსაშენმეცნიერებას“ მიერ წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგების ნაწილების ის კომპონენტები, რომელზეც ჩვენ გვევალება მოსაზრების გამოთქმა, ყველა არსებითი ასპექტების გათვალისწინებით, შეესაბამება მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

სს „საქსაშენმშენიერებას“ არ გააჩნია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული აუდიტის კომიტეტი, რომლის მეშვეობით იგი შეძლებდა ზედმხედველობა გაეწია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესზე და რისკების მართვაზე. ასევე, არაა ფორმალიზებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემები. შესაბამისად, მათი მიმოხილვა არაა წარმოდგენილი კორპორაციული მართვის ანგარიშგებაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამარ ცუხიშვილი.

აუდიტორი

თ. ცუხიშვილი

თარიღი: 28/09/2018

თ. ცუხიშვილი

სს „საქსაშენმეცნიერება“

ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თბილისი
2018

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	8
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები ძველ სტანდარტებში და ინტერპრეტაციები.....	12
5. საინვესტიციო ქონება.....	13
6. ძირითადი საშუალებები.....	13
7. მარაგი.....	14
8. სავაჭროდასხვამოთხოვნები.....	14
9. ფულადისახსრებიდაექვივალენტები.....	14
10. ქონების გადაფასების ნამეტი.....	15
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
12. საინვესტიციო ქონება	15
13. პროფესიული მომსახურების ანაზღაურება.....	15
14. ფინანსური რისკების მართვა.....	15
15. კაპიტალის მართვა.....	18
16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	18
17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის	18
18. განუსაზღვრელი ვალდებულებები.....	19
19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	19

(ლარში) შენიშვნა 31.12.2017 31.12.2016

აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	5	2 481 917	-
ძირითადი საშუალებები	6	31 947	3 165 616
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 886 365	3 165 616
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	7	1 292	1 292
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	36 007	34 415
საგადასახადო მოთხოვნები		1 407	2 687
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	9	51 515	26 836
სულ მიმდინარე აქტივები		276 875	65 230
სულ აქტივები:		3 976 586	3 230 846
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		3 166 310	3 166 310
ქონების გადაფასების ნამეტი	10	733 845	
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		42330	30 039
სულ საკუთარი კაპიტალი		3 942 485	3 196 349
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3 038	3 002
საგადასახადო ვალდებულებები		4 364	2 730
ვალდებულებები გასაცემ დივიდენდზე		26 699	28 765
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		34 101	34 497
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 976 586	3 230 846

დირექტორი

დ. ტყეშელაშვილი

მთ. ბუღალტერი

მ.პაპიძე

(ლარი) შენიშვნა 31.12.2017 31.12.2016

ამონაგები	12	305 589	259 257
სხვა შემოსავალი		9 064	12 962
სულ შემოსავალი		314 653	272 219
საოპერაციო ხარჯები ხარჯები		(228 203)	(192 988)
ცვეთის ხარჯი		(12 337)	(11 642)
სულ საოპერაციო ხარჯები		(240 539)	(204 629)
არასაოპერაციო მოგება		5 571	2 571
არასაოპერაციო ზარალი		(5 321)	(3 227)
სულ არასაოპერაციო მოგება-ზარალი		250	(656)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		74 363	69 934
მოგების გადასახადი		(5 142)	(12 778)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		69 221	54 156
სხვა სრული შემოსავალი			
შემოსულობა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებით შეფასებიდან	10	736 915	-
ქონების გადაფასების ნამეტის შემცირება		(3 070)	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		733 845	-
სულ საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი		733 845	-

დირექტორი

დ. ტყეშელაშვილი

მთ. ბუღალტერი

მ.პაპიძე

(ლარში) შენიშვნა 31.12.2017 31.12.2016

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მიმდინარე წლის მოგება

69221

54156

კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებით

ძირითადი საშუალებების ცვეთა

12 337

11 642

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა

4 649

3 226

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან აქტივების და ვალდებულებების ცვლილებამდე

86207

69024

ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა

(1 592)

(12 671)

სავაჭრო ვალდებულებების ზრდა

36

393

საგადასახადო მოთხოვნების ცვლილება

1280

(1 029)

საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება

1634

(3493)

სულ ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში

1358

(16 800)

სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

87565

52 224

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა

(820)

(7 097)

სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

(820)

(7 097)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

დივიდენდის გაცემა

(62 066)

(70 834)

სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

(62 066)

(70 834)

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ცვლილება

24 679

(25 707)

ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის

26 836

52 542

ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის

10

51 515

26 836

დირექტორი

დ. ტყეშელაშვილი

მთ. ბუღალტერი

მ.პაპიძე

სს „საქსაშენშენიერება“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების ნამეტი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2015 წაშთი	3 166 310	-	50 885	3 217 195
გადაფასების ნამეტის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
დივიდენდის განაწილება			(75000)	(75000)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი	-	-	53 736	53 736
31.12.2016 წაშთი	3 166 310	-	29 621	3 195 931
წინა პერიოდის კორექტირება	-	-	418	418
31.12.2016 წაშთი	3 166 310	-	30 039	3 196 349
გადაფასების ნამეტის ზრდა/(შემცირება)	11	-	733845	733 845
დივიდენდისგანაწილებ ა			(60 000)	(60 000)
სხვა სრული შემოსულობა			3070	3070
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი	-	-	69 221	69 221
31.12.2017 წაშთი	3 166 310	733 845	42 330	3 942 485

დირექტორი

დ. ტყეშელაშვილი

მთ. ბუღალტერი

მ.პაპიძე

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „საქსაშენმშენიერება“ წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია 1996 წლის 03 სექტემბერს და ფუნქციონირებს საქართველოში.

საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ყაზბეგის გამზირი ჩიხი 32/32.

საზოგადოებას შვილობილი საწარმოები ან/და ფილიალები არ გააჩნია.

საზოგადოების საიდენტიფიკაციო ნომერია: 204852070.

საზოგადოების აქციონერები არიან ფიზიკური პირები.

სააქციო საზოგადოება „საქსაშენმშენიერება“-ს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება 3 166 310 ლარის ოდენობით. გამოშვებული ფასიანი ქაღალდების (აქცია) რაოდენობაა 162 825 ცალი. 1 ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 19,48 ლარი. განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა ასევე შეადგენს 162 825 ცალს.

საზოგადოების გამოშვებული და მთლიანად განთავსებული აქციები მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების კლასს - „ჩვეულებრივი“.

31.12.2017წ.-ს მდგომარეობით მთლიანად განაწილებულ საზოგადოების 162 505 აქციაზე რეგისტრირებულია სულ 189 მფლობელი.

საზოგადოება საკუთარი აქციების შეძენა-გამოსყიდვას და შესაბამისად გასხვისებასაც არ ახდენს არა მარტო საანგარიშო პერიოდში, არამედ საერთოდ პირველადი განთავსების შემდგომ.

1 ცალი ფასიანი ქაღალდის (აქცია) წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში განისაზღვრება 0,0006%-ით.

საზოგადოების ჩამოყალიბებისას სს „საქსაშენმშენიერება“-ს საქმიანობის საგანი მისი წესდების თანახმად განისაზღვრებოდა შემდეგი მიმართულებებით: სხვადასხვა სახის მასალების და საშენი პროდუქციის ხარისხის შემოწმება სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით; ნედლეულისა და მასალების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა; მოსაპირკეთებელი საკედლე, პოლიმერული, ბუნებრივი არამადნეული და ხელოვნური მასალების, ბეტონის და რკინა ბეტონის წარმოების ტექნოლოგიების გამოკვლევა; ყველა სახის კომერციული საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონებს.

საზოგადოებას წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას დღესაც ანხორციელებს, მაგრამ დღეისათვის მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - არასაცხოვრებელი ფართების იჯარით გაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების ძირითად ე.წ. „საწარმოო“ აქტივს წარმოადგენს მისი კუთვნილი უძრავი ქონება - არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 7303,34 კვ.მ, მდებარე ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ყაზბეგის გამზირი ჩიხი 32/32..

საზოგადოების საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საზოგადოების საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

საანგარიშგებო პერიოდში საზოგადოებაში დასაქმებული იყო 16 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) 2017 წლის რედაქციის მიხედვით.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონებისა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია რეალური ღირებულებით. საზოგადოება არ ფლობს სხვა ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შე-საძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული პირვანდელი თვითღირებულებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე საწარმოს პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში კლებადი ნაშთის მეთოდის საშუალებით. თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის გამოყენების დაწყების შემდეგ. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	0.5-5%
მანქანა-დანადგარები	5-8%
საოფისე აღჭურვილობა	5-20%
ავეჯი და მოწყობილობები	5-20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	20%

თუარსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდარი მინიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადახედვა და კორექტირება, რათა სახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

- ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;
- ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება არის ქონება, რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

საინვესტიციო ქონების აღსარიცხავად საზოგადოება 2017 წლის შემდგომ გამოიყენებს რეალური ღირებულების მოდელს.

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10% განაკვეთით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. რომელიც ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას.

ჩვეულებრივი იჯარა - საზოგადოება როგორც მეიჯარე

საზოგადოებას ჩვეულებრივი იჯარის აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია საინვესტიციო ქონების შესაბამის კლასში.

ჩვეულებრივი იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში და მიეკუთვნება საინვესტიციო ქონებიდან მიღებულ საიჯარო შემოსავლებს.

საინვესტიციო ქონების იჯარიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება ხარჯის სახით და შეიძლება კლასიფიცირებული იქნას:

- იმ საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებულ საექსპლუატაციო ხარჯებად (რემონტისა და ტექნომსახურების ხარჯების ჩათვლით), რომლიდანაც საიჯარო შემოსავალი იქნა მიღებული პერიოდის განმავლობაში, ან/და;

- იმსაინვესტიციოქონებასთანდაკავშირებულსაექსპლუატაციოხარჯებად (რემონტისადატექმომსახურებისხარჯებისჩათვლით), რომლიდანაცსაიჯაროშემოსავალიარიქნამიღებულიპერიოდისგანმავლობაში.

მარაგი

მარაგიშეფასებულიათვითღირებულებასადადამისდასრულებასადაგაყიდვასთანდაკავშირებულ ხარჯებითშემცირებულგასაყიდვასშორისუმცირესითანხით.

მარაგებისთვითღირებულებისგანგარიშებახდებასაშუალოშეწონილიმეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოებამომსაურების გაყიდვებსახორციელებსნორმალურსაკრედიტოპირობებში, აქედანგამომდინარე, მოთხოვნებზეპროცენტისდარიცხვარხდება.

ყოველისაანგარიშგებოპერიოდისბოლოსსაზოგადოებაახდენსსავაჭროდასხვამოთხოვნებისა ბალანსღირებულებებისშეფასებას, რათაგანისაზღვროს, ხომარარსებობსთანხების ამოუღებლობისრაიმეობიექტურიმტკიცებულება. ასეთისარსებობისშემთხვევაში, ხდებასაექვომოთხოვნებისშეფასებადაგაუფასურებისზარალისაღიარებამოგებაშიანზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭროვალდებულებებიწარმოადგენსნორმალურსაკრედიტოპირობებშიგანხორციელებულ იოპერაციებისდროსწარმოშობილვალდებულებებს, რომლებიცპროცენტისმატარებელიარარის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საწარმოს წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ხოლო წმინდა ოდენობა ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა წარმოებულ იქნას ურთიერთგაქვითვა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

4. ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები ძველ სტანდარტებში და ინტერპრეტაციები

ფინანსური ანგარიშგების შესადგენად სააღრიცხვო პოლიტიკა შერჩეულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) 2017 წლის 1 იანვრისათვის სამოქმედოდ დამტკიცებული ვერსიის საფუძველზე. შემდგომ პერიოდში მიღებული იქნა ახალი სტანდარტები და ცვლილებები შევიდა მოქმედ სტანდარტებში. ამ ცვლილებებიდან საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკაზე და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს მხოლოდ შემდეგმა სტანდარტებმა:

ფასს 15 „ამონაგები მოხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15 აწესებს ახალ მოთხოვნას რეალიზაციის აღიარებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლებს ბასს 18-ს – “ამონაგები”, ბასს 11-ს – “სამშენებლო კონტრაქტები” და სხვა რეალიზაციასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ახალი სტანდარტი საუბრობს კონტროლთან დაკავშირებულ რეალიზაციის მოდელზე და იძლევა ისეთ დეტალებზე განმარტებებს, რაც სხვა ფასს-ებში არ იყო აქამდე დაფარული. მათ შორის, როგორ აღირიცხოს ბუღალტრულად მრავალპროფილიანი ვალდებულებები, ფასების ცვალებადობა, მომხმარებლების დაბრუნების უფლებები, მომწოდებლების გამოსყიდული ოფციები და სხვა კომპლექსურისაკითხები.

ფასს 15 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. საზოგადოების მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ფასს 16 „იჯარა“.

სტანდარტი გამოყენებული უნდა იქნეს საანგარიშგებო პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ.

ფასს 16 „იჯარა“ ჩაანაცვლებს ბასს 17 „იჯარა“. ფასს 16-ის მიზანია მეიჯარეებისა და მოიჯარეების მიერ იჯარის ოპერაციის სამართლიანად წარმდგენი მართებული ინფორმაციის გამჟღავნების უზრუნველყოფა. სტანდარტი არსებითად ცვლის იჯარასთან დაკავშირებული ოპერაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის პრინციპებს. ეს განსაკუთრებით ეხება მოიჯარის მიერ ფინანსური ინფორმაციის წარდგენას. ფაქტობრივად ერთნაირი მიდგომით დაექვემდებარება აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია მოიჯარის მხრიდან. ფინანსური იჯარა და ჩვეულებრივი იჯარა განხილული იქნება ერთ კონტექსტში. ასეთ კატეგორიებად იჯარის კლასიფიცირება არ მოხდება მეიჯარესთან.

იჯარით მიღებული აქტივი აღიარებული იქნება გამოყენების უფლების ფორმით, ხოლო მასთან დაკავშირებული გადასახდელები საიჯარო ვალდებულებების სახით. იცვლება მათი თავდაპირველი და შემდგომი შეფასების წესები. დამკვიდრდება გამოყენების უფლების ცვეთის ახლებური მიდგომა და მის პარალელურად გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა მოიჯარეს გამოყენების უფლების რეალური ღირებულებით წარდგენა მოუწიოს ფინანსურ ანგარიშგებაში. გამოყენების უფლების სახით აღიარებული აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენი იქნება სხვა აქტივებისაგან განცალკევებით.

იჯარის ფინანსურ და ჩვეულებრივ იჯარად კლასიფიცირების პრიციპი და სააღრიცხვო პოლიტიკა არსებითად უცვლელი დარჩება მეიჯარესთან.

აღნიშნული ახალი ფასს-ის შემოდების თანმდევი გახდა გადასინჯვის საფუძველზე ცვლილებების შეტანა მოქმედ სტანდარტებში, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს მოცემული ახალი სტანდარტების გამოყენების პარალელურად.

საზოგადოება არ გეგმავს აღნიშნული ახალი სტანდარტის გამოყენებას მოთხოვნის ძალაში შესვლის თარიღამდე.

5.საინვესტიციო ქონება

(ლარი)

#	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	შემოსვლა/რეკ ლასიფიკაცია	გასვლა/რეკლა სიფიკაცია	ნაშთი 31.12.16
1	მიწა	1 372 500	1 372 500	-	-
2	შენობები	2 4923 302	2 492302	-	-
	ჯამი	3 864 802	3 864 802	-	-
#	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.16
1	შენობები	10 385	10 385	-	-
	ჯამი	10 385	10 385	-	-
	საბალანსოღირებულება	3 854 417	3 864 802	-	-

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია რეალური ღირებულების მოდელის გამოყენებით. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება შეფასებულია ისეთი დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამისი კატეგორიის ქონების შეფასებაში.

6.ძირითადი საშუალებები

(ლარი)

#	ობიექტისდასახელება	ნაშთი 31.12.17	შემოსვლა	გასვლა/რეკლა სიფიკაცია	ნაშთი 31.12.16
	შეძენისღირებულება				
1	მიწა	-		1 372 500	1 372 500
2	შენობები	-	736 915	2 654 349	1 917 434
3	ნაგებობები	8 795	-	-	8 795
4	მანქანადანადგარები	40 688		7 303	47 991
5	ოფისისაღჭურვილობა	945		-	945
6	ავეჯიდაინვენტარი	125 031	820	1 333	125 544
7	სატრანსპორტო საშუალებები	-	-	13 480	13 480
	ჯამი	1 754 459	737 735	4 048 965	3 486 689

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	ცვეთისდარიც ხვა	ცვეთისჩამოწე რა	ნაშთი 31.12.16
	ცვეთა				
1	შენობები	-	-	162 047	162 047
2	ნაგებობები	4 337	45		4 292
3	მანქანა-დანადგარები	24 841	1036	7 081	30 886
4	ოფისის აღჭურვილობა	779	42	-	737
5	ავეჯიდაინვენტარი	113 555	829	439	113 165
6	სატრანსპორტო საშუალებები	-	-	9946	9946
	ჯამი	143 512	1952	179 513	321 073
	საბალანსო ღირებულება	31 947	735 783	3 869 452	3 165 616

7. მარაგი

(ლარი)			
	დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1	ვერცხლი	50	50
2	ქიმიური რეაქტივები	1 242	1 242
	ჯამი	1 292	1 292

მარაგის მიღება, როგორც წესი, აღიარებულია შემენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)			
	დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1	მოთხოვნები მეიჯარეების მიმართ	44 586	29 336
2	საექვმოთხოვნების კორექტირება	(8841)	(4993)
3	გადახდილი ვანსები	262	72
	ჯამი	36 007	34 415

9. ფულადისახსრები და ექვივალენტები

(ლარი)			
	დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1	ფულისა ბანკო ანგარიშზე-ლარი	51 172	26 720
2	ფულისა ლაროში	342	116
	ჯამი	51 515	26 836

10. ქონების გადაფასების ნამეტი

საზოგადოებამ საანგარიშგებო პერიოდში მოახდინა უძრავი ქონების რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებაში. უძრავი ქონება რეკლასიფიკაციამდე აღრიცხული იყო რეალური ღირებულებით. ქვემოთ მოცემულია რეკლასიფიცირებული აქტივის რეალური ღირებულებით შეფასების შედეგად წარმოქმნილი გადაფასების ნამეტი.

	დასახელება	2017 წ.	2016 წ.
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	-	-
	გადაფასების ნამეტის ზრდა	736 915	-
	გადაფასების ნამეტის შემცირება	-	-
	ცვლილების გავლენა გადაფასების ნამეტზე	736 915	-
	ნაშთი წლის ბოლოს	736 915	-

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16
1	ვალდებულებაკომუნალური მომსახურებიდან	2 378	2 604
2	წონასწარ ანაზღაურებურებული მომსახურება	660	399
	ჯამი	3 002	3 038

12. საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები

	დასახელება	2017 წ.	2016 წ.
1	საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი	305 589	259 257
2	საინვესტიციო ქონების საექსპლუატაციო ხარჯები	13 293	
	კომუნალური მომსახურების ხარჯები	(67 245)	(47 191)
	რემონტის ხარჯი	(4 366)	(3 389)

13. პროფესიული მომსახურების ანაზღაურება. ხარჯი მოიცავს აუდიტორული ფირმებისთვის მიცემულ ანაზღაურებას წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისათვის 3000 ლარს და სხვა პროფესიული (შეფასების) მომსახურების გაწევისათვის 1017 ლარს.

14. ფინანსური რისკების მართვა

საზოგადოებაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის

და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. საზოგადოებას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საზოგადოების მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

საზოგადოების მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2017	01.01.2017
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო და საავანსო მოხვრენები	36 007	34 415
ფულადი სახსრები და ექვივალენტები		
ნაშთებისაბანკო ანგარიშებზე	51 515	26 720
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	87522	71135

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

საზოგადოება მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება დაექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საბაზრო რისკი. საზოგადოება განიცდის საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურვალუტებში, (ბ) პროცენტიანაქტივებსადავალდებულებებში და (გ) ლიკვიდურობის რისკითპროდუქტებისმხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზროცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვანსაბაზროცვლილებებს.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას არ გააჩნია ბაზართან დაკავშირებული არსებითი რისკები.

სავალუტო რისკი. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საზოგადოებას არ გააჩნია რისკი, რომელიც გამოწვეულია საწარმოს ფინანსურ პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით, რამდენადაც: საწარმოს ხარჯები გაიწევა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში; შემოსავლების ძირითადი ნაწილი მიიღება ასევე ლარებში; საწარმოს არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული არც ერთი ვალდებულება.

ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ საზოგადოებამ შესაძლოა განიცადოს სირთულეები სახსრების მოპოვებაში მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისას, ასევე, ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის აღინიშნება რაიმე სხვაობა. საზოგადოებას ინარჩუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები იქნება ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში, რათა მოხდეს შესაბამისი ვალდებულებების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, როდესაც დგება გადახდის მომენტი.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საზოგადოებას არ გააჩნია შესხებიან სხვა სახის ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც რიცხვით პაროცენტი.

საკრედიტო მეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შე-
საბამისი საექვოვალეების რეზერვის შექმნით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადებისა და ლიკვიდური აქტივების სტრუქტურის ანალიზი შემდეგია:

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადებისა და ლიკვიდური აქტივების სტრუქტურის ანალიზი შემდეგია:

თანდართული შენიშვნები 7-19 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ღონისძიების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

წმინდა პოზიცია	26754	-	-	-	26 754
----------------	-------	---	---	---	--------

15. კაპიტალისმართვა

საზოგადოებისკაპიტალისმართვისამოცანები აუზრუნველყოს საზოგადოების ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ანკორექტირების მიზნით, საზოგადოებამ შესაძლოა მიიღოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

საზოგადოება არ ექვემდებარება გარემოს უბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაცივალდოს გარიგების მსურველ მხარეებს შორის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანალიკვიდაციის ადამის საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურბა ზარზეკვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრას საზოგადოების მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება მისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მომნაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება.

საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადისა ბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავიზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მომველელი იყოს ანასახვდეს იმ შემთხვევით, როდესაც იგი ციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალური ღირებულებებს.

ფულადისა ხსრებისა და ფულადისა ხსრები ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალური ღირებულებებს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალური ღირებულებას.

17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლი სშესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან აოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თითოეულ

დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არამხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას დაკავშირებულ პირებთან გარიგებები გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს:

დასახელება	კავშირი კომპანიასთან	მიწოდების ოპერაციის სახე	თანხა	ნაშთი 31/12/2017
შპს „გროსელექტრო“	მნიშვნელოვანი გავლენა			
შპს „ელექტრო სერვისი“	სამეთვალყურეო თავმჯდომარის მოადგილეს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა			
უმალესი რანგის ხელმძღვანელის ხელფასი	სამეთვალყურეოს აბჭოს წევრები და დირექტორი	ხელფასი	56 916	-
ჯამი			41 847	446

18. განუსაზღვრელი ვალდებულებები

სასამართლო განხილვები. 2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოება არმონაწილეობდა სასამართლო ან/და სხვა ტიპის დავებში.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. საანგარიშო პერიოდში საზოგადოების აქტივები დაგირავებული ან/და შეზღუდული არ ყოფილა.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. საზოგადოებას მხოლოდ კომუნალური მომსახურების მომწოდებლებთან დაკავშირებით გააჩნია ვალდებულებები. მათი გადახდის რისკები არ ფიქსირდება.


19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ დანებადართულია გამოსაშვებად 2018 წლის 25 სექტემბერს.


(ლარში)	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	5	2 481 917	-
ძირითადი საშუალებები	6	31 947	3 165 616
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>3 886 365</u>	<u>3 165 616</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	7	1 292	1 292
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	36 007	34 415
საგადასახადო მოთხოვნები		1 407	2 687
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	9	<u>51 515</u>	<u>26 836</u>
სულ მიმდინარე აქტივები		<u>276 875</u>	<u>65 230</u>
სულ აქტივები:		<u>3 976 586</u>	<u>3 230 846</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		3 166 310	3 166 310
ქონების გადაფასების ნამეტი	10	733 845	
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		42330	30 039
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>3 942 485</u>	<u>3 196 349</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3 038	3 002
საგადასახადო ვალდებულებები		4 364	2 730
ვალდებულებები გასაცემ დივიდენდზე		<u>26 699</u>	<u>28 765</u>
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>34 101</u>	<u>34 497</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3 976 586</u>	<u>3 230 846</u>

დირექტორი



დ. ტყემელაშვილი


მთ. ბუღალტერი



მ.კახიძე


(ლარი)	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	5	2 481 917	-
ძირითადი საშუალებები	6	31 947	3 165 616
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>3 886 365</u>	<u>3 165 616</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	7	1 292	1 292
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	36 007	34 415
საგადასახადო მოთხოვნები		1 407	2 687
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	9	<u>51 515</u>	<u>26 836</u>
სულ მიმდინარე აქტივები		<u>276 875</u>	<u>65 230</u>
სულ აქტივები:		<u>3 976 586</u>	<u>3 230 846</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		3 166 310	3 166 310
ქონების გადაფასების ნამეტი	10	733 845	
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		42330	30 039
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>3 942 485</u>	<u>3 196 349</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3 038	3 002
საგადასახადო ვალდებულებები		4 364	2 730
ვალდებულებები გასაცემ დივიდენდზე		<u>26 699</u>	<u>28 765</u>
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>34 101</u>	<u>34 497</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3 976 586</u>	<u>3 230 846</u>

დირექტორი



დ. ტყეშელაშვილი

მთ. ბუღალტერი




მ.პაპიძე

სს „საქსაშენმშენიერება“

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის


(ლარი)	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
ამონაგები	12	305 589	259 257
სხვა შემოსავალი		9 064	12 962
სულ შემოსავალი		<u>314 653</u>	<u>272 219</u>
საოპერაციო ხარჯები ხარჯები		(228 203)	(192988)
ცვეთის ხარჯი		(12 337)	(11 642)
სულ საოპერაციო ხარჯები		<u>(240 539)</u>	<u>(204 629)</u>
არასაოპერაციო მოგება		5571	2 571
არასაოპერაციო ზარალი		(5321)	(3 227)
სულ არასაოპერაციო მოგება-ზარალნი		<u>250</u>	<u>(656)</u>
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		74 363	69 934
მოგების გადასახადი		(5 142)	(12 778)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		<u>69 221</u>	<u>54 156</u>
სხვა სრული შემოსავალი			
შემოსულობა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებით შეფასებიდან	10	736 915	-
ქონების გადაფასების ნამეტის შემცირება		<u>(3 070)</u>	<u>-</u>
სულ სხვა სრული შემოსავალი		733 845	-
სულ საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი		<u>733 845</u>	<u>-</u>

დირექტორი



დ. ტყეშელაშვილი


მთ. ბუღალტერი



მ.პაპიძე


(ლარი)	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიმდინარე წლის მოგება		69221	54156
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებით			
ძირითადი საშუალებების ცვეთა		12 337	11 642
ძირითადი საშუალებების ჩამოწრა		4 649	3 226
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან აქტივების და ვალდებულებების ცვლილებამდე		86207	69024
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1 592)	(12 671)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა		36	393
საგადასახადო მოთხოვნების ცვლილება		1280	(1 029)
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება		1634	(3493)
სულ ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		1358	(16 800)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		87565	52 224
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(820)	(7 097)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(820)	(7 097)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
დივიდენდის გაცემა		(62 066)	(70 834)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(62 066)	(70 834)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ცვლილება			
		24 679	(25 707)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის			
		26 836	52 542
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის			
	10	51 515	26 836

დირექტორი



დ. ტყემელაშვილი

მთ. ბუღალტერი




მ.პაპიძე


სს „საქსაშენმშენიერება“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების ნამეტი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2015 წაშთი	3 166 310	-	50 885	3 217 195
გადაფასების ნამეტის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
დივიდენდის განაწილება			(75000)	(75000)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	53 736	53 736
31.12.2016 წაშთი	3 166 310	-	29 621	3 195 931
წინა პერიოდის კორექტირება	-	-	418	418
31.12.2016 წაშთი	3 166 310	-	30 039	3 196 349
გადაფასების ნამეტის ზრდა/(შემცირება)	11	-	733845	733 845
დივიდენდის განაწილება			(60 000)	(60 000)
სხვა სრული შემოსულობა			3070	3070
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	69 221	69 221
31.12.2017 წაშთი	3 166 310	733 845	42 330	3 942 485

დირექტორი


დ. ტყემელაშვილი

მთ. ბუღალტერი


მ.პაპიძე

სს „საქსაშენმეცნიერება“
მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	
1.1 ინფორმაცია საზოგადოების შესახებ -----	3
1.2 საქმიანობის მდგომარეობა, განვითარება და შედეგები -----	3
1.3 ინფორმაცია ფილიალების შესახებ -----	4
1.4 ფინანსური მდგომარეობა -----	4
1.5 განვითარების გეგმა -----	5
1.6 ფინანსური რისკების მიმოხილვა და ანალიზი -----	6
1.7 ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენა/გასხვისების შესახებ -----	7
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება	
2.1 ზოგადი მიმოხილვა -----	8
2.2 ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა ----	9
2.3 აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების დამათი განხორციელების წესების მიმოხილვა -----	10
2.4 მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეოს აზრის შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა -----	11
2.5 დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვა -----	12

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

1.1 ინფორმაცია საზოგადოების შესახებ

სს „საქსაშენმეცნიერება“ დაფუძნებულია 1996 წელს. საზოგადოების ოფიციალური მისამართია ქ. თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. #32/34.

კომპანიას გააჩნია საკუთარი მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობები, ინვენტარი და საქმიანობისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები.

კომპანიაში 2017 წელს სულ დასაქმებული იყო 22 ადამიანი. აქედან 16 - ადმინისტრაციის თანამშრომელია და 6 - სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომელი.

საზოგადოება ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) საფუძველზე.

1.2 საქმიანობის მდგომარეობა, განვითარება და შედეგები

საზოგადოების საქმიანობას წარმოადგენს:

1) საკუთარი უძრავი ქონების იჯარით გაცემა

2) სამშენებლო მასალების ლაბორატორიული კვლევა/შემოწმება.

თავისი საქმიანობით საზოგადოება პასუხისმგებელია როგორც აქციონერების, ასევე საზოგადოების თანამშრომლების, მიმწოდებლების, მომხმარებლებისა და მთლიანად საზოგადოების წინაშე.

კომპანიას ყველა პირობა აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის: გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰყავს გამოცდილი პერსონალი. თუმცა ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მცირდება შეკვეთები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სამშენებლო ბაზარი საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან სეგმენტს შეადგენს, არანაირი რეგულაცია არ არის სამშენებლო მასალებთან დაკავშირებით. შესაბამისად, უმნიშვნელო რაოდენობით ხდება მათი შემოწმებაც. ამის გამო კომპანიაში ყოველწლიურად იზრდება გამოუყენებელი მანქანა-დანადგარების, ინვენტარის რაოდენობა, არ ხდება ახალი ქიმიური რეაქტივების შეძენა (ამის საჭიროება არ არის), პერსონალი არ არის თავისი პირდაპირი სპეციალობით დაკავებული. იმისათვის რომ კომპანიამ თავის ძირითად საქმიანობად, ანუ შემოსავლის ძირითად წყაროდ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გახადოს, საჭიროა მნიშვნელოვანი ინვესტიციის მოძიება. ამ ეტაპზე აქციონერებმა ვერ მოიზიდეს ასეთი ინვესტიცია. შესაძლოა ამის მიზეზი ის არის, რომ აქციონერები ეჭვობენ კომპანია ვერ შეძლებს თავისი პროდუქტით ბაზრის სულ მცირე, მაგრამ სტაბილური სეგმენტი დაიკავოს. წინა წლების შემოსავლების

ანალიზი აჩვენებს, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ყოველწლიურად მცირდება. ასეთი შემოსავლებით შეუძლებელი ხდება არათუ აქციონერებისთვის დივიდენდის მიცემა, არამედ საზოგადოების ქონების მოვლა.

1.3 ინფორმაცია ფილიალების შესახებ

საზოგადოებას არ გააჩნია ფილიალი

1.4 ფინანსური მდგომარეობა

სს „საქსაშენმეცნიერებას“ საკუთრებაშია 7303,34 კვ.მ უძრავი ქონება. შენობების 1826 კვ.მ ფართი წარმოადგენს გამავალ დერეფნებს, კიბის უჯრედებს, ჰოლს. საზოგადოების მიერ ადმინისტრაციული საქმიანობისთვის და ლაბორატორიული სამუშაოებისთვის გამოყენებულია 410 კვ.მ ფართი; გაქირავებულია 3008,5 კვ.მ ფართი, ხოლო გაუქირავებელი ფართი შეადგენს 1959 კვ.მ-ს. ანუ კომპანიის მთლიანი უძრავი ქონებიდან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის გამოყენებული შენობის ფართი შეადგენს 7,5%-ს და საიჯარო საქმიანობისთვის გამოიწეული შენობის ფართია 92,5%-ს. კომპანიის საერთო ხარჯები (კომუნიკაცია, კომუნალური, ცვეთა, ქონების და მიწის გადასახადები) შესაძლოა ამ პროცენტული მაჩვენებლებით მივაკუთნოთ საქმიანობის სახეებს.

2017 წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლებია:

შემოსავლისამშენებლომასალებისშემოწმებისმომსახურებიდან	9,064
ხელფასი	4167
კომუნიკაციისხარჯი	320
კომუნალურიხარჯი	2918
ქონებისგადასახადი	1643
მიწისგადასახადი	178
ცვეთა	2016
სულხარჯი	11242
ზარალი	(2,178)

გაანგარიშებიდან ჩანს, რომ შემოსავლები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობიდან იმდენად მცირეა, რომ საკუთარ ხარჯებსაც ვერ ფარავს. აშკარაა, რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებობას მხოლოდ ამ საქმიანობით.

რამდენიმე წელია საზოგადოების ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვნად გაზარდა საკუთარი უძრავი ქონების იჯარით გაცემის მაჩვენებელი. 2017 წელს საიჯარო შემოსავლების წილმა მთლიანი შემოსავლის 97% შეადგინა.

ამ ეტაპზე არ არის მოსალოდნელი პერსონალის გაზრდა არცერთი საქმიანობისთვის.

1.5 განვითარების გეგმა

საზოგადოება ითვალისწინებს საქართველოს ბაზარზე სამშენებლო მასალების შემოწმებაზე მოთხოვნის სიმცირეს და შემოსავლების გასაზრდელად გამოიყენებს იმ რესურსს, რაც გააჩნია. კერძოდ კომპანია გეგმავს გაზარდოს იჯარით გასაცემი ფართის რაოდენობა. ამ ეტაპზე თავისუფალი ფართია 1826 კვ.მ ანუ უკვე იჯარით გაცემული ფართის 60%. თუ აღნიშნული ფართი იჯარით გაიცემა, მნიშვნელოვან გაიზრდება კომპანიის არა მარტო შემოსავალი, არამედ მოგებაც, რაც კიდევ უფრო მეტ სტაბილურობას შესძენს საზოგადოების ფუქციონირებას.

1.6 ფინანსური რისკების მიმოხილვა და ანალიზი

			2016წ	2017წ	
1	წმინდამოგებისმარჟა	წმინდამოგება/ამონაგები	24.39	22.18	%
2	დ/დავალიანებისდაფარვისპე რიოდი	დ/დავალიანება/რეალიზაც ია X 365 dRe	45.15	49.40	დღე
3	გამოყენებულიკაპიტალისუკ უგება ROI	წმინდამოგება/მთლიანიაქ ტივი*100%	1.76	1.53	%
4	აქტივებისბრუნვისკოეფიციენ ტი	რეალიზაცია/მთიანიაქტივ ები*100%	8.49	8.06	%
5	ლევერიჯი	გრძელვადიანივალდებულ ება/კაპიტალი	0	0	
6	მოკლევადიანილიკვიდობა	მოკლევადიანიაქტივი/მოკ ლევადიანივალდებულება	1.98	2.81	1- თანშედა რება
7	დივიდენდისდაფარვისკოეფი ციენტი	წმინდამოგება/გაცემულიდ ივიდენდი	0.80	0.98	%

- 1) წმინდა მოგების მარჟა მცირედ შემცირებულია წინა წელთან შედარებით, რაც რეალიზაციის შემცირებითაა გამოწვეული, თუმცა მაინც სტაბილური მაჩვენებელია;
- 2) დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი დიდია და გაზრდილია წინა წელთან შედარებით. შესაძლოა ამის მიზეზია დებიტორული დავალიანების ამოღების კონტროლის სიმცირე. ზოგადად სასურველია თუ დებიტორული დავალიანება იფარება 60 დღეში;
- 3) გამოყენებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი შემცირებულია წინა წელთან შედარებით, ამის მიზეზია წმინდა მოგების შემცირება და აქტივების ზრდა. აქტივების ზრდა გამოწვეულია ძირითადი საშუალებების გადაფასებით. აღნიშნული კოეფიციენტის მაჩვენებელი აჩვენებს, რომ კომპანიას აქვს რესურსი საკუთარი აქტივების გამოყენებით მეტი მოგება მიიღოს;
- 4) აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი მცირედ არის შემცირებული. აღნიშნული გამოწვეულია რეალიზაციის დონის შემცირებით და აქტივების გაზრდით;
- 5) კომპანიის ლევერიჯი წინა ერთი წლის მანძილზე და მიმდინარე პერიოდში ნულია. ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია. ანუ კომპანია საქმიანობას მართავს საკუთარი სახსრებით, გრძელვადიანი სესხების გარეშე;
- 6) მოკლევადიანი ლიკვიდობის მაჩვენებელი მაღალია. ამის მიზეზია მოკლევადიანი ვალდებულებების სიმცირე მოკლევადიან აქტივებთან შედარებით. ანუ კომპანია მეტ ყურადღებას აქცევს ვალდებულების დაფარვას და ნაკლებად ხდება დებიტორებიდან თანხების ამოღების კონტროლი;
- 7) ყოველწლიურად შეიმჩნევა დივიდენდის დაფარვის კოეფიციენტის მცირე ზრდა. ეს იმას ნიშნავს რომ კომპანიამ სრულად არ აითვისა წინა წლების და მიმდინარე პერიოდის მოგება. კოეფიციენტის ზრდა მიანიშნებს, რომ მომავალში უფრო მეტად მოსალოდნელია დივიდენდის გაზრდა.

1.7 ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენა/გასხვისების შესახებ

2017 წლის დასაწყისში საზოგადოებას საკუთრებაში გააჩნდა 162 505 (ასსამოცდაორი ათას ხუთასხუთი) აქცია. მათი რაოდენობა არ შეცვლილა საანგარიშგებო წლის განმავლობაში. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 19,48 ლარს.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების აქციონერებთან დაკავშირებით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- ოთხმა აქციონერმა აქციები გადაფორმება მემკვიდრეობით;
- ერთმა აქციონერმა მოახდინა ჩუქება;
- ერთ აქციონერმა თავისი აქციები მიყიდა მეორე აქციონერს.

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

2.1 მიმოხილვა

კორპორაციული მართვა წარმოადგენს კომპანიის მართვისა და კონტროლის ერთიან სისტემას, რომელიც განსაზღვრავს უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას მმართველ ორგანოებს, აღმასრულებელ ორგანოებს, აქციონერებსა და კომპანიით დაინტერესებულ სხვა მხარეებს შორის. კორპორაციული მართვა ასევე მოიცავს გადაწყვეტილებების მიღებასა და კომპანიის საქმიანობის განხორციელების ეფექტურობაზე მონიტორინგთან დაკავშირებულ წესებსა დაპროცედურებს.

საზოგადოებაში პასუხისმგებლობა კორპორაციულ მართვაზე ორ სტრუქტურულ ერთეულს შორის ნაწილდება: სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი მენეჯმენტი. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციული მართვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია აუდიტისკომიტეტი, ამ ეტაპზე კომპანიას არ ჰყავს იგი. აუდიტის კომიტეტის ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭო. კერძოდ, იგი პასუხისმგებელია

- ფინანსური ანგარიშგება იყოს გასაგები, გამჭვირვალე და სანდო;
- განიხილოს კორპორაციულ პოლიტიკა, რამდენად შეესაბამება კანონმდებლობას, ეთიკის ნორმებს
- გამოიძიოს საზოგადოებაში ინტერესთა კონფლიქტის ფაქტი და თაღლითობის გამომწვევი ფაქტი (ასეთის გამოვლენისას);
- მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეს მენეჯმენტთან, რათა ინფორმირებული იყოს ორგანიზაციაში სიახლეების დანერგვაზე

საზოგადოების მართვის სისტემა შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

- აქციონერთა საერთო კრება - საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო, რომლისმეშვეობითაც აქციონერები ახორციელებენ თავის უფლებას მიიღონ მონაწილეობასაზოგადოების მართვაში;
 - სამეთვალყურეო საბჭო - მართვის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებისსტრატეგიის შემუშავებაზე, მისი საქმიანობის ზოგად მართვაზე და აღმასრულებელიორგანოების საქმიანობის კონტროლზე.
 - კომპანიის დირექტორი - მართვის ერთპიროვნული აღმასრულებელიორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას და ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს და საზოგადოების აქციონერთა მიერ განსაზღვრულსტრატეგიას.
- საზოგადოების დირექტორის კომპეტენცია განისაზღვრება კანონმდებლობით და მასთან დადებული ხელშეკრულებით.

საზოგადოების ეფექტური, ოპერატიული და კანონშესატყვისი მართვისათვის ხელმძღვანელებს შორის გადანაწილებულია თანამდებობრივი ფუნქციები. დირექტორის ძირითად ფუნქციებში შედის: საზოგადოების საქმიანობის ოპერატიული მართვა, საზოგადოების სახელით მისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება, მოლაპარაკებების წარმოება, ხელშეკრულებების ხელმოწერა.

დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე იმოქმედოს საზოგადოების სახელით.

2.2 ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

საზოგადოება აწარმოებს აღრიცხვას და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის დეტალური შენიშვნები, რომლებიც ამ ანგარიშგების მიმღებს საზოგადოების საქმიანობის ფინანსური შედეგების სწორადინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ფინანსურ ანგარიშგების შეფასებას ახორციელებს გარე აუდიტორი. სათანადო დასკვნასთან ერთად ანგარიშგება ქვეყნდება ბეჭდურ მედიაში.

საზოგადოებას არ გააჩნია წერილობითი ფორმით შიდა კონტროლის სისტემები. თუმცა კონტროლის პროცედურები ხორციელდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, აქციონერთა საერთო კრების და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე. თანამშრომელთა ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საზოგადოების ორგანიზაციულ-განმკარგულებელი დოკუმენტებით (ბრძანება).

კონტროლის სისტემა თავისი არსით გულისხმობს, რომ არსებობენ პროცედურების შემსრულებელი პირები და არსებობენ ამ პროცედურების შესრულების დონის განმსაზღვრელი მაკონტროლებელი პირები. საზოგადოების ფინანსური განყოფილება შედგება 2 კაცისგან, რომლებიც ასრულებენ ყველა ფინანსურ ოპერაციას და ამზადებენ ფინანსურ ანგარიშგებას. მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას განიხილავს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო და აქციონერთა კრება. კომპანიის ადმინისტრაციაში არ არის კადრი, რომელიც შეიძლება მონაწილეობდეს შიდა კონტროლის სისტემებში. კონტროლის გამარტივებულ პროცედურებს ახორციელებს საზოგადოების დირექტორი.

რისკების მართვის გავრცელებული მოდელია ე.წ. "Coso's Enterprise Risk Management - Integrated Framework". (Coso - the Committee of Sponsoring Organizations of the Treadway Commissions რაც ნიშნავს ბიზნეს-ეთიკის, ეფექტური შიდა კონტროლის და კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვის გზით ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებას).

რისკის მართვის ეს მიდგომა ითვალისწინებს სტრუქტურირებულ და კოორდინირებულ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია პოტენციური რისკებისგ

ამოვლენაზე, გაზომვაზე, საპასუხო რეაგირებასა და შესაძლებელი შედეგების შეფასებაზე.

საზოგადოება ვერ გამოიყენებს ზემოაღნიშნულ მოდელს. რისკების მართვასთან დაკავშირებით შესაძლოა იგივე გავიმეოროთ, რაც ზემოთ აღინიშნა შიდა კონტროლის სიტემებთან მიმართებაში (კადრების სიმცირე). კომპანიაში რისკის მართვის პროცესებს მენეჯმენტი ნერგავს, ხოლო მის ეფექტურობას აფასებს სამეთვალყურეო საბჭო.

2.3 აქციონერების და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

ჩვეულებრივი აქციების ყოველ მფლობელს უფლება აქვს დაესწროს აქციონერთა კრებას და შეიტანოს წინადადებები განსახილველად.

საზოგადოების მმართველობის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა კრება. წელიწადში ერთხელ წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, სადაც განიხილება წლიური შედეგები და სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერების მოთხოვნით.

საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული. თუ დირექტორი 20 დღის განმავლობაში არ მოიწვევს კრებას, აქციონერებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

აქციონერებს შეუძლიათ ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათ გათავისუფლებას საქმიანობიდან.

აქციონერს (აქციონერებს) საზოგადოებიდან გასვლა შეუძლია განახორციელოს აქციონერთა კრების მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში.

საზოგადოების საერთო კრება მოიწვევა კანონით განსაზღვრული საშუალებით გამოქვეყნებიდან ოცი დღის შემდეგ. სამეთვალყურეო საბჭო და საზოგადოების დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს გამოცხადებული დღის წესრიგის შესაძლო გადაწყვეტილებების, ასევე საზოგადოების წესდებაში შესაძლო ცვლილებების შესახებ წინასწარი გაცნობა დაინტერესებული აქციონერებისათვის.

საერთო კრება უფლებამოსილია:

მიიღოს ცვლილებები საზოგადოების წესდებაში. შეცვალოს საზოგადოების წესდება. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ. მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან დატვირთვის შესახებ.

აქციონერთა კრებამ საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში.

საზოგადოების მიერ 2017 წელს აქციონერთა კრება ჩატარებული იქნა 24 ივლისს. კრებაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. 2016 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგები
2. ს.ს. „საქსაშენმშენებლების“ საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა

2.4 მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა

საზოგადოების მმართველობითი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც არჩეულია აქციონერთა კრების მიერ 4 წლის ვადით.

სამეთვალყურეო საბჭოს წარმოადგენს:

თავმჯდომარე ნანა მუმლაძე (პ/ნ 01001028040)

თავმჯდომარის მოადგილე გია გაგუნაშვილი (პ/ნ 0100801502)

წევრი დიმიტრი ტყეშელაშვილი (პ/ნ 01017009136)

წევრი მარინე კველიშვილი (პ/ნ 01023009558)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და შეცვლა ხდება მხოლოდ აქციონერთა კრების მიერ.

საზოგადოების წესდებაში ცვლილების განხორციელება მოხდება აქციონერთა კრების მიერ.

მმართველობითი ორგანოს წევრების უფლებამოსილებებია:

სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს.

სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას მოახსენებს საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს საზოგადოების დირექტორს. საბჭოს უფლებაა გამოიწვიოს, მასთან სამსახურეობრივი ხელშეკრულება გააფორმოს და შეწყვიტოს.

სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

კაპიტალდაბანდებათა შეძენა და გასხვისება;

უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

წლიური ბიუჯეტის, საგეგმო ბალანსის და მოგება-ზარალის გეგმის შედგენა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა 2017 წლის განმავლობაში ჩატარდა ოთხჯერ

1. 2017 წლის 24 იანვარს ჩატარდა საბჭოს სხდომა, სადაც განხილული იყო:
 - ა) საზოგადოების ბალანსზე რიცხული ავტომანქანის „მერსედეს ბენცის“ გასხვისების შესახებ
 - ბ) საზოგადოების დირექციისათვის საკუთარი ავტომანქანის გამოყენებისათვის ფულადი ანაზღაურების შესახებ
2. 2017 წლის 24 ივლისს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. საბჭოს სხდომაზე არჩეულ იქნენ საბჭოს თავმჯდომარედ ნანა მუმლაძე, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ გია გაგუნაშვილი
3. 2017 წლის 4 აგვისტოს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, სადაც განხილული იყო საზოგადოების 2017 წლის 6 თვის საფინანსო-სამეურნეო შედეგები და მოგების განაწილება აქციონერებზე.
4. 2017 წლის 5 ოქტომბერს, სადაც განხილულ იქნა: 1) საზოგადოების შენობის III და V სართულის სახურავის შეკეთება. 2) ს.ს. „საქსაშენმეცნიერება“-ს III კვარტლის საფინანსო-სამეურნეო შედეგები

2.5 დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვა


საზოგადოებას არ გააჩნია წერილობითი ფორმით დაფიქსირებული დივერსიფიკაციის პოლიტიკა, რადგან დაფუძნების დღიდან პირველად 2016 წელს მოახდინა სამეთვალყურეო საბჭოში დამატებითი წევრის შეყვანა. მიუხედავად ამისა, კომპანია დივერსიფიკაციის დროს არ ითვალისწინებს ასაკს და სქესს. მისთვის პრიორიტეტია მხოლოდ წევრის კვალიფიციურობა.

სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე

ნ. მუმლაძე

ნანა მუმლაძე

დირექტორი



დimitრი ტყეშელაშვილი